სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	არქეოლოგია / Archaeology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	არქეოლოგიის დოქტორი / PhD in Archaeology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამა არის სამწლიანი, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	თსუ პროფესორი **ვახტანგ ლიჩელი**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამას აქვს შემდეგი წინაპირობები: • მაგისტრის აკადემიური ხარისხი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით** დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით ფართო სფეროში: ***02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები*** შემავალი შემდეგი დეტალური სფეროების ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 0213 სახვითი ხელოვნება; 0222 ისტორია და არქეოლოგია; 0288 ინტერდისციპლინური, რომელიც მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ფართო სფეროში. ***03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია*** შემავალი შემდეგი დეტალური სფეროს ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები ფართო სფეროში: ***07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა*** შემავალი შემდეგი დეტალური სფეროს ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 073 არქიტექტურა და მშენებლობა 2019 წლის 10 აპრილამდე მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ფარგლებში განათლებამიღებული დოქტორანტობის მსურველთათვის კი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

	(კერძოდ, ეთნოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობებში), ასევე მიმართულებათშორისი დარგებიდან არქეოლოგიის, კულტურის კვლევების, არქიტექტურის, რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობებში). • დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა; • გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	***პრეამბულა:*** გამომდინარე იქიდან, რომ არქეოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულად განვითარებადი დარგია, რომლის მიმართ განსაკუთრებულად მზარდი ინტერესი შეიმჩნევა და ის საჭიროებს ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადებას, დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და დარგში ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელშეწყობას. პროგრამა ითვალისწინებს და ემყარება არქეოლოგიის დარგის განვითარების განსაკუთრებულ ადგილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დადგენილია ის ძირითადი კვლევითი მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს არის არა მხოლოდ ქვისა და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის კარდინალური საკითხები (ძირითადად, საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენა), აგრეთვე თანამედროვე კვლევების (მათ შორის, დათარიღების ახალი მეთოდების) საერთაშორისო ნორმები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა არქეოლოგიის ინტერდისციპლინური ხასიათი, რაც გამოიხატება არქეოლოგიურ კვლევებში საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევათა ფართო

	დანერგვით. ამავე დროს არქეოლოგია ინარჩუნებს თავის ღრმა კულტურული და სოციალური კვლევის ასპექტებს. სადოქტორო პროგრამა და არსებული რესურსი (საქართველოში დაცული კოლექციები, მიმდინარე გათხრები, სამეცნიერო კონტაქტები) დოქტორანტებს საშუალებს მისცემს, განავითარონ სამეცნიერო-პრაქტიკული კარიერა როგორც ქვისა და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული პერიოდის არქეოლოგიაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია რეალური ბაზა დოქტორანტების მოსამზადებლად, მათთვის ფართო სამეცნიერო ინტერესებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის მისაცემად. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის **მიზანია**: • მოამზადოს დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით აღჭურვილი მკვლევარი არქეოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, • მისცეს მკვლევარს კოლექციებზე მუშაობისა და აღმოჩენილი არტეფაქტების თანამედროვე ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევისთვის საჭირო დარგობრივი ცოდნა; • პროგრამით მომზადებული მკვლევარი იცნობდეს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდებს; • იცოდეს დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; • ჰქონდეს თანამედროვე სტანდარტებით კვლევის ჩვევები, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარი, • შეეძლოს სწრაფად ცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრება და გადაწყვეტა, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, • შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთობლივ კვლევაში, • ფლობდეს სრულ ინფორმაციას საკუთარი კონკრეტული სამეცნიერო ქვედარგის ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი აღმოჩენების შესახებ, • მიღებული ფუნდამენტური ცოდნითა და უნარებით ადვილად ინტეგრირდეს საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში - იცნობდეს სამეცნიერო კვლევისა და

	განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებს, განახორციელოს საგრანტო პროექტები და მოამზადოს სამეცნიერო პუბლიკაციები მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის და შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი; • ჰქონდეს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხი, მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, იცავდეს და ამკვიდრებდეს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმებს. **არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის** კვლევების ძირითადი თემატიკა და არეალი: 1. ქვის ინდუსტრიის ანალიზი; 2. დემოგრაფიული/საარსებო საშუალებების მოპოვების სტრატეგიები; 3. ადამიანის ქცევითი ადაპტაციების ევოლუცია გარემოპირობების ცვალებადობის გრძელვადიანი მოდელის ფონზე; 4. გეოარქეოლოგია. 5. ქვის ხანის ადრეული/ცალკეული ეტაპები საქართველოში, კავკასიაში და მისი ადგილი ჰომინიდის განვითარების ზოგად სქემაში. 6. ბრინჯაოს ხანა საქართველოსა და კავკასიაში: მტკვარ-არაქსის კულტურა - ქრონოლოგიური და კულტურული დეფინიციის პრობლემები, მისი გენეზისისა და კონტინუიტედის საკითხები;Aადრეული ყორღანების ადგილი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურათა კონტექსტში; შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები. 7. შუადან გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გარდამავალი ეტაპები-გენეზისის პრობლემები. 8. ადრეული რკინის ხანა საქართველოში. 9. კოლხეთი და ეგეოსური სამყარო. 10. იბერია და აღმოსავლური ცივილიზაციები. 11. შუა საუკუნეების საქართველო.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	**ა) ცოდნა და გაცნობიერება:** • **არქეოლოგიის** დოქტორი გააზრებულად და

	ადეკვატურად ოპერირებს დარგის მეტაენით, ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით; • ახდენს დარგის კვლევის მეთოდებისა და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზებას პრაქტიკაში - არქეოლოგიურ ძეგლზე, ასევე საველე მუშაობისას. • ამზადებს არქეოლოგიური ძეგლის სრულ ანგარიშს აღწერითი ნაწილისა და ინტერპრეტაციის ჩათვლით - ადგენს არტეფაქტების იდენტობას, აჯგუფებს, გამოყოფს ტიპოლოგიურ ჯგუფებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავს ქრონოლოგიურ პარამეტრებს; • რომელიმე პერიოდის ან მასალის მიხედვით კვლევისას ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასებს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და დამოუკიდებლად აწარმოებს დარგობრივ კვლევას. • აცნობიერებს არქეოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ადგილს თანამედროვე ცოდნის სისტემაში და მის სხვა მეცნიერებებთან ურთიერთკავშირს; • შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები.
ბ) უნარი	• **არქეოლოგიის** დოქტორი კოორდინირებას უწევს ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობას, დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს დაზვერვებს და გათხრებს, შეუძლია შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება, სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. • ფლობს საკმარის კომპეტენციებს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და საერთაშორისო კონფერენციებში; განახორციელოს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებულ საგრანტო პროექტები პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმით, • წარმატებით თანამშრომლობს მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; საკუთარ კვლევაში ახდენს კომბინირებას და იყენებს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის მეთოდებსა და ახალ აღმოჩენებს; • ადეკვატური ლექსიკითა და ენობრივი სტილის

	გამოყენებით ქმნის, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აფორმებს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტებს (სამეცნიერო ნაშრომს, რეცენზიას და სხვ.), შეუძლია მათი პრეზენტაცია, შეფასება, რეცენზირება და აკადემიური ფორმით არგუმენტირება. • სამეცნიერო კვლევით ნაშრომში აჯამებს დარგობრივ კვლევას და მონაცემთა კრიტიკული და ღრმა ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ყველა არგუმენტის ინტეგრაციით გამოაქვს ლოგიკური, ნათლად ჩამოყალიბებული დასკვნები, სათანადოდ ასაბუთებს მათ.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• **არქეოლოგიის** დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს, აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სამეცნიერო პროფილის შეცვლა და ახალ ვითარებასთან ადაპტირება. • პატივს სცემს ინტელექტუალურ საკუთრებას, აღიარებს პლაგიატის მიუღებლობას, აქვს სხვათა აზრის პატივისცემა, ჯგუფურ პროექტებში მუშაობისას იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკის ნორმებს; შეუძლია ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, დარგობრივ სემინარებსა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირებითა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, საველე პრაქტიკა და სხვ. ***შენიშვნა: თითოეულ სილაბუსს თან ახლავს კონკრეტული კურსისთვის შესაბამისი მეთოდების, სტრატეგიებისა და ხერხებისა დეტალური აღწერა.***
შეფასების სისტემა	- **სასწავლო კომპონენტი:** 40 ECTS კრედიტი.

	სასწავლო კომპონენტის შეფასება: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60– საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც ხელმძღვანელის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება მინიმუმ 30 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. **კვლევითი კომპონენტის შეფასება:** დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა. **დისერტაციის შეფასება:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის დაცვის კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით: დადებითი შეფასება: • 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) – შესანიშნავი ნაშრომი; • 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; • 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; • 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც

	წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; • 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; უარყოფითი შეფასება: • 41-50 ქულა არის შეფასება insufficienter (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; • 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება sub omni canone (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს; შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერითი/ზეპირი ფორმით. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი/ზეპირი ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან.
დასაქმების სფეროები	**არქეოლოგიის** დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტმა შეიძლება იმუშაოს სხვადასხვა სასწავლო და კვლევით

	დაწესებულებებში არქეოლოგიის სპეციალობის მიხედვით. ამასთან, მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნის მიღების შედეგად, მას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საექსპერტო სამუშაო, ანუ შეაფასოს (ქრონოლოგიურად, კულტურულად, წარმოშობის თვალსაზრისით) ის ნივთები, რომლებიც კონკრეტული ინტერესების საგანს შეიძლება შეადგენდეს. შესაძლებელია, დასაქმდეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სამსახურებში; ანალიტიკურ ცენტრებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის. უცხოეთის მოქალაქეს პროგრამაზე სწავლა შეუძლია პროგრამის სწავლების ენის ცოდნის შესაბამისი ფორმით დადასტურების შემთხვევაში.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია ექსპოზიციით და ბიბლიოთეკა; საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციები, გრაკლიანის საველე ბაზა და ლაბორატორია, თსუ-სა და ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკები, პალეობიოლოგიისა და ქვის ხანის არქეოლოგიის კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორია, საველე პრაქტიკის ბაზა. **პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ადამიანური რესურსებით. მის განხორციელებაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელსაც დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება აქვს და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში; პროგრამის რეალიზებაში ჩართულ პროფესურას აქვს თანამედროვე აკადემიური ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება. ვახტანგ ლიჩელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების პროფესორი; გურამ გრიგოლია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების ემერიტუს პროფესორი;

	ზვიად კვიციანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; მარინა ფუთურიძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; კონსტანტინე ფიცხელაური – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი. (იხ. დანართი № 3, პროგრამაში ჩართულ პირთა CV-ები). ***იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.***
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები:

ა) სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები – 25 კრედიტი (ECTS)						
	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სემესტრი	ლექტორი/ები
1	დოქტორანტის დარგობრივი სემინარი[1]	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
2	პროფესორის ასისტენტობა[2]	5			შემოდგომა/	

[1] **სადოქტორო დარგობრივი სემინარი** იქმნება ფაკულტეტის სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. სადოქტორო დარგობრივი სემინარის მონაწილეები საჯარო განხილვისთვის წარმოადგენენ მოხსენებებს დარგის სხვადასხვა აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე.
სადოქტორო დარგობრივი სემინარი არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის კვლევითი უნარების გამომუშავებას. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.
სადოქტორო დარგობრივ სემინარზე წარმოდგენილი ნაშრომი სრულდება შესაბამის სამეცნიერო დარგში/სფეროში, დოქტორანტის მიერ სადოქტორო აკადემიური წერის ნორმების დაუფლებისა და დარგის კვლევის მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე. ის ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ.

[2] **პროფესორის ასისტენტობა** გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული დავალების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება;

					გაზაფხული	
3	არქეოლოგიური საველე და ლაბორატორიული კვლევების მეთოდოლოგია	5	48 სთ. საკონტაქტო მუშაობა	77 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა.	შემოდგომა/ გაზაფხული	პროფ. ვახტანგ ლიჩელი
არჩევითი კურსები / აქტივობები – 15 კრედიტი (ECTS)						
1.	ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10	34 სთ. ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ. გამოცდის ჩააბარება – 4 საათი.	216 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	დოქტ. შოთა ბარბაქაძე

საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე.წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვ.

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს. კრედიტების მინიჭება შეიძლება მოხდეს შემდეგი პრინციპით: მაგალითად, თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. დავუშვათ, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში ჩაატარა 30 საათი. 30 + 120 = 150. 150 : 25 = 6 კრედიტი.

საათების რაოდენობას შეიძლება დაემატოს ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. მაგალითად, თუ დოქტორანტმა სემესტრში ჩაატარა 30 საათი და დაესწრო სხვის მიერ ჩატარებულ 15 ლექციას, მაშინ კრედიტის მინიჭება მოხდება შემდეგი პრინციპით: 30 + 120 + 15 =165. 165 : 25 = 7 კრედიტი. კრედიტების რაოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. მაგალითად, თითოეული ნაშრომის გასწორებას დოქტორანტი პირობითად ანდომებს 1 საათს. თუ მან გაასწორა 150 ნაშრომი, მას ამ საქმეზე დაუხარჯავს 150 საათი. 150 : 25 = 6 კრედიტი.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (დანართი #10) პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

2.	შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში SPSS-ის ელემენტებით	**5**	30 საათი; მათ შორის 2 საათი ორი შუალედური გამოცდისთვის; 3 სთ — დასკვნითი გამოცდისთვის;	92 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილი
3.	მეცნიერების მენეჯმენტი	**5**	48 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	პროფ. გიორგი ღვედაშვილი; დოქტ. თამარ გოგუა; დოქტ. ლელა კვინიკაძე
4.	აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის	**5**	48 საათი. ლექცია –15, პრაქტიკუმი –30 საათი. გამოცდის ჩაბარება – 3 საათი.	77 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან გოჩიტაშვილი
5.	დოქტორანტის დარგობრივი სემინარი (სავალდებულო ერთი სემინარის გარდა, არჩევითი სტატუსით მეორე სემინარი)	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
6.	პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო 5 კრედიტის გარდა, არჩევითი სტატუსით)	**5**			შემოდგომა/ გაზაფხული	
7.	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–10**			შემოდგომა/ გაზაფხული	
8.	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი	**5**			შემოდგომა/ გაზაფხული	

	სადოქტორო კურსები					
9.	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	**5**			შემოდგომა/ გაზაფხული	
10.	სხვა სახის აქტივობა	**5**			შემოდგომა/ გაზაფხული	

ბ) კვლევითი კომპონენტი

აქტივობის სახე		**სემესტრი**	
1	დოქტორანტის I სამეცნიერო-კვლევითი პროექტი[3]		შემოდგომა/გაზაფხული
2	დოქტორანტის II სამეცნიერო-კვლევითი პროექტი		შემოდგომა/გაზაფხული
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა		შემოდგომა/გაზაფხული

[3] დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები.
კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას.
დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით.
კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე.